

440

ვერცხვილი
ბიზნესი



46
440



საქართველო

1
1985

1-6

ISSN 0132-6970

ნუყრელი მეგობარი ვისიმი ერთ მერხვო იხსენენ. ბავშვია არც ფანქრები ჰქონდათ და არც ქალაღი, რომ წერათ. ამიტომ მხოლოდ უსმენდნენ. ყველა ელოდა, როდის გამოიძიანება მათწველებელ დაფასთან და როდის ავიღებ ხელში ცარცის პატარა ნატებსა.

იმადი და ვისიმი დღეს ახებვისაგან განსხვავებით თავს მეწვიედ ცაზე გრძობდნენ. მათ ქალაღი ჰქონდათ და, მამასადამე, შეეძლოთ მასწავლებლის ნამებობის ჩაწერა. მასწავლებელი მოუთხრობდა არაბთა უძველეს კულტურაზე, არქიტექტურის ფეგლებზე, რომელთაც აგრერივად სწირღებათ გაფრთხილება ამ შფითიან დროს; ლაპარაკობდა შრომისმოყვარე და ნიჭიერ პალესტინელ ხალხზე.

იმადი კმაყოფილი წერდა, და არც კი შეუღმწევია, როგორ მიუხელოვდა მასწავლებელი.

— მითხარი, იმად, სად იშოვეთ ესენი?

— ეს ფურცლები? გუშინ საღამოს გადმოყარეს ვერტმფრენიდან ყანაში, სადაც გლეხები მუშაობდნენ, და იქ აკრებენ.

— „არაბებო, ვიდრე გვიანი არ არის, აიკარით გულა-ნაბადი და წვათრიეთ აქედან! ეს მიწა დიდი ისრაელის საკუთრებაა!“ — წაიკითხა მასწავლებელმა.

იმდმა გაბრაზებით თქვა:

— მაგათ ბევრი რამე უნდათ!

— ეა ფურცლები ჩვენს მებრძოლებს უნდა გადავცეთ, — თქვა მასწავლებელმა. — ეს შემამფოთებული ამბავია. თქვენ კიდევ არ იცით, რას ნიშნავს ეს წარწერა — „კახ“... ის მერა კახანეს ბანდიტების ხელმოწერა. ისინი წინ მოუძღვებთან ისრაელის ჯარებს და სობენ ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებათ.

ფურცლები იმდმა მამამის გადასცა. იმადის მამა პალესტინელ მებრძოლთა ქვეგანაყოფის მეთაურია. მან მაშინვე თავის რაზმს მიაშურა.

— იმად, შეგაროვე შენი ამხანაგები, ბარები აიღეთ და ჩვენთან რაზმში მოდით, მოგვეხმარეთ. ხალხი არ გვეყოფნის — ყველანი ყანებში არიან.


ბიჭუნებს მდინარეზე გადებულ ხილთან, გზისპირზე ორი სანგრის გათხრა დაევაღეს. ისინი თავდაუზოგავად მუშაობდნენ, და როცა პოზიციაზე მებრძოლები მოვიდნენ, სანგრები უკვე მზად იყო. ორი მებრძოლი ტყვიამფრტვევით მარჯვენა სანგარში ჩაწვა, ორი დანარჩენი კი, ყუბმარისტორცნით, მარცხენა სანგარში, ბიჭებს მიეხმარნენ მებრძოლებს, სანგრები ქეები და ფიჩხი შემოუღვეს და სოფელში დაბრუნდნენ.

იმდს უკებ და ისე ღრმად დაეძინა, ვახშობისას დედამ ვერაფრით ვერ ჩაავად გულისხმამი.

იგი ყუბმარების სკდომისა და ტყვიამფრტვევის ხმამ გააღვიძა. ეს ხმები სოფლის ხან ერთ თავში ისმოდა და ხან მეორეში. დღდა შინ არ იყო. აღბათ სამედიცინო ნაწილში წვიდა დაჭრილი მებრძოლების დასახმარებლად. უმცროსი და-მმა ტირიდა. იმდმა ისინი სარდაფში ჩაიყვანა და ნაეთქურა აანთო.

— აქ იჯექით, მე მალე მოვალ!

— უთხრა და მდინარისაკენ გაიქცა, სადაც გუშინ სანგრებს თხრიდა ამ-ნანგებთან ერთად. მდინარის გაღმა გორაკზე ცეცხლი ეკიდა „ჩიხს“ და ჯავშნიან აეტომანქანას. მარჯვენა სანგრის ადგილზე ვეება ორმოს



დაელო ხახა. იმადი მარცხენა სანგრისკენ გაიხიდა. დაჭრილი მებრძოლები მარჯვენა კენხიდა. იმდმა მისი მანტიდან ინდივიდუალური პაკეტი ამოიღო და მკერდზე ჭრილობა შე-

უხვია თერთმეტი წლის ასაკში მან ბევრი რამე იცოდა, რაც მებრძოლისთვის იყო აუცილებელი. ის ხშირ პალესტინელი იყო. ეპალესტინელი კი ბავშვობიდანვე ემზადება სამშობლოს, თავისი ხალხის დასაცავად.

იმადი ჩქარობდა. ყოველ წუთში შეიძლება აქ სინონტები მოსულიყვენ; რის ვაი-ვაგლობით გადაათრია დაჭრილი მებრძოლი ხილზე და ბუჩქებში დამალა. „ტყვიამფრტვევი! არ შეიძლება მტრითყვის მისი დატოვება!“ ისევ უკან, სანგარიაკენ გავარდა, ტყვიამფრტვევი მძიმე იყო, მაგრამ იმადი დიდი გაჭირვებით მაინც მიათრევდა მას. აულ ცოტაც და ხილთან ნაყარე უნდა გასულიყო. ზურგს უკან ჰქონდა ავტომატის მოკლე ჯერმა გაყვეთა. იმადი დაეცა, მაგრამ სწრაფად ამოეფარა შორიხალის დაყრილ ლოდებს. ახლა ლოდებზე ატაკუნდნენ ტყვიები. იმადი შიშმა აიტანა. იგი მიზანში ჰყავდათ ამოდებული ცხალი, შეიძლება და განაბულიყო და ეცადა ტყვია არ მიხვედრიდა, მაგრამ შემდგომ? ბანდიტები ხილზე გადმოვიდნენ და ცოცხლად შეიპყრობენ, შამებმას დაუწყებენ... რა ლოდში ჩააფრებენ სოფელს, იქ ხშირ მხოლოდ ბავშვები დარჩნენ!

იმადი ხოხვით მივიდა ტყვიამფრტვევთან...

ორმოცდაათითოდ მეტრში წყლის შხაუნი გაისმა. ბანდიტებმა გადაწყვიტეს ფონს გასულიყვენ. იმდმა დაუმიხრა და ჩახმას დაჭირა. ისროდა, ვიდრე ვახნები არ გაუთავდა...

დაჭრილი მებრძოლები, რომელიც იმდმა გადაარჩინა, ჰოსპიტალში გაგზავნეს, სანტარული მანქანა რომ მოვიდა, დაჭრილმა იმადი მოიხმო და უთხრა: „არ ვიცი, რით დავასანქტო... არაფერი ისეთ არ გამაჩნია... არ, იქნებ ეს...“ და თავისი ფორმის დიხზე აწიშა.

— აჭერი და შენს ხალხს დააქრე. ვიცი, გულით გინდა მებრძოლს ჰგავდე... და ახლა შენ სწორედ ქვეშეპირიტი გიბძობოდა ხან!



ნაჯიი



პარტია: „პრონერატი-საქართველო“

ნიმუ სარაზიშვილი

ომის პეტარანებასა და მათ ოჯახებას — თამარული ზრუნვა

ზე ნიშნული თვისება გახლავთ. მის სასიკეთო შედეგებს სკოლის წითელკვლამაძიებელთა და თემურელთა შტაბების საქმიანობაშიც უხვად დინახავთ.

საინტერესოდ არის დავებშილი სკოლის თემურელთა ყოველდღიურობა. თემურელთა შტაბი, რომელსაც მეექვსეკლასელი თეონა მეგრელიშვილი ხელმძღვანელობს, მუდამ ძიებასა და ფუსფუსშია. პერიოდულად კითხვა-კითხვით ჩამოივლიან ხოლმე პიონერები მიკროუბანს, შემომამტებულ მარტოხელა მოსუცებსა და სამამულო ომის ინვალიდებს ეძებენ. უფრო ხშირად კი დროს თავიანთ საშუალო ობიექტებზე, თავიანთ „ახალმოვნილ“ პაპებთან და ბებოებთან ატარებენ, მათ მოკონებებს ისმენენ, სახლს ულაგებენ, ეზო-კარმიდამოს უსუფთაებენ, საზამთროდ შეშას უმარაგებენ...

მართალია, მათ თემურისა და მისი თანარაზმელების მსგავსად წითელი ვარსკვლავებით არ მოუნიშნავთ თავიანთ მიკროუბანში გაბნეულ საშუალო მეკომურთა ჰიშკრები, მაგრამ სხვაფრივ მათდამი ყურადღებასა და ზრუნვას თავიანთ ლიტერატურულ

წინამორბედებზე ნაკლებ როდი იმუნენ.

იმ დღესაც, — ოლია ბეზოსთვის წნევის ისე აუწევიაო, — ამბები მისი უკრძალ და მასთან წასვლად გამზადნენ. ოლია ბებო მს წლის ოლია კალმასელიძეა, დიდ სამამულო ომში ქმარშვილდაღუპული, მარტოხელა, სმენადაკარგული მოსუცი. ისეთი, თავზე კვერი რომ არ დაუტრიალებია, თორემ სხვა არაფერი დაუკლია ცხოვრებას... ჯერ იყო ომში ახალწასული შეუღლები დაღუპვის ცნობა მოსვლია ყირმიდან 1942 წელს. ერთი წლის შემდეგ



● დიდი ხანია მამოგროვან სკოლის კვლავიანობაში და თელავის პოლ ინსტიტუტის საპედილო კა. თიფლის უბორონი ვასკავლამე. ლი, ომის პეტარანი უ. გოჯია-უპილი.

● არილი პაპასთან მისვლა და გი. გონივას ოჯახში დატრიალება ერთია.

შეიღუპე გამწარებულა. ვორონეში დაცემულა მამაცთა სიკვდილით 17 წლის ბიჭი, ჯერაც ცხოვრებაუნახა-

ა თელ რაიონში საუკეთესოდ ითვლება თელავის მე-4 საშუალო სკოლის ნ. კრუპსკაიას სახელობის პიონერული რაზმეული.

რაიონის ამ ერთ-ერთი უძველესი სკოლის უმდიდრეს ტრადიციათაგან პირველ ადგილზეა პიონერებთან შემოქმედებითი მუშაობის ტრადიცია. ეს, ერთი მხრივ, თავის საქმეზე საოცრად შეყვარებული უფროსი პიონერხელმძღვანელის მუშაობის წყალობაა, ხოლო მეორე მხრივ, იმ მოწადინებისა, რომელსაც თავად პიონერები იჩენენ ყოველ საქმეში. მათ ინტერესთა მრავალმხრივობაში კი რაზმეულის რომელიმე რიგით პიონერთან სახელდასებლო გასაუბრებაც და სკოლის ყოველდღიურობაში თუნდც ზერელე ჩახედვაც დავარწმუნებთ. ეს მრავალმხრივი საქმიანობა ამ პიონერული რაზმეულის ერთ-ერთი ყველა-

ვი ჰკავშირ... მსუხარებას დაუპატარავებია დედა, მუჭის ტოლადა დაარჩინილი. მაინც ვერ მოუკლავს თავი, დროს უძალია და თანდთან შესწევია მარტოობასაც და მარადიულ სიჩუმეში ცხოვრებასაც...

ერთი წელი იქნება, სიცოცხლე დატყო მარტოხელა მოხუცის ეზო-გარემოს. თელავის მეოთხესკიდეელმა თემურელებმა ძალიან შეიჩვიეს მოხუცი. დღე არ გავა, არ მოინახულონ დაძველებული შიფერით დაბნეული, კიბეორყული სახლი. მორბედად დაუტრიალდებიან ხოლმე ეზო-გარემოში, წნევას გაუზომავენ, წამალს მიაწვდიან, შეშას დაუბოძენ, ოთახებს მიუღალბებენ... გაზუსტ გრძლად დაახვევენ, ყურზე მილივით მიადებენ, კისერწვრტელებულები ხმაძაღლა ჩასძახიან ამ ქვეყნის და თავიანთი სკოლის ახლდ ამბებს.

თეონა მეგრელიშვილი და რაზმის რამდენიმე ყოჩაღი გოგონა მისულან იმ დღეს თელავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარესთან, ძია ოთარ გულიაშვილთან, — ოლია ბებოს მორყეულ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა უჭირს და მუშახელი დაეგანზარეთო... საკუთარ თავზე უფრო მეტსაც იღებენ — კიბეს რომ მოგრჩებით, სახურავის გამოცვლის საქმეც უნდა მოვავაროთო, — ახლავე თადარიგს იჭერენ მესამერაზმელები — მაია კუპატაძე და თეონა მეგრელიშვილი.

არც 75 წლის სირანა ბებოს ჰყავს ნაკლები შეფები. თელავის ძაფსანკევი ფაბრიკის ყოფილ მუშას, შრომის ვეტერანს პატარების ჟრიაშული მუდამ სიახით უგსებდა გულს და ახლა ხომ, ომში დაღუპული ქმარშვილის პატრონსა და მარტოხელას, თავიანთი ბშირ-ბშირი სტუმრობით გოგო-ბიჭები სიცოცხლესაც უხანგრძლივებენ... იმ დღეს ფანტეგში მინებში ჩაუსვამთ მისთვის მეოთხეკლასელებს. ცოტა მოგვიანებით დიდი ბჭობაც გაუმართავთ, სირანა ბებოს ეზოში მდგარი დაზიანებული სანაბთე როგორმე უნდა შევაკეთოთო. გაუხარდა მოხუცს — ეს ცეროდენები უკვე სადილო საქმეებსაც შესჭიდებიანო. ვითომ ის კი არ იცოდეს, ამგვარ „სადილო“

საქმეებში ცეროდენები თავიანთი კლასის ახალგაზრდა ხელმძღვანელს, ნანა კველიშვილსაც რომ იხმარებენ...

არჩილ პაპასთან — 74 წლის არჩილ შათირიშვილთან მისვლა მაინც სხვანაირად ახარებთ თემურელებს. ერთ დროს ოთხი მოსწრებული შვილის მამა ყოფილა პაპა არჩილი, მათგან ორი ომს შეუწირავს, ორიც სხვა უბედობას. მაინც არ ტყდება, ჯერაც სამყოფი აქვს მხნეობა; ძალზე საინტერესო მოსაუბრეა. განსაკუთრებით ფეოდალის ბრძოლების გასწავლა უყვარს თავადაც ძველ მეომარს. ბევრ საინტერესო ამბავს ჰყვება იმ დროისას — თავისი ტყვეობისას, იქიდან გამოქცევისას, სტერისას, საბრძოლო მეგობრობისას...

ამგვარი საინტერესო მონათხრობები, სკოლის მიკროუბნის სამამულე ომის ვეტერანთა ბიოგრაფიულ

ვთან დაკავშირ. ით განსაკუთრებთ გააძლიერეს თავიანთი სამძებრო და საშუაო საქმიანობა სკოლის წითელკვალმაძიებლებმა და თემურელებმა; საკავშირო პიონერული მარშის მიმდინარე ეტაპის დღეიწივ — „სალუტ, გამარჯვება!“ — ხომ იმავეს ავალბობ. ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას მიეძღვნა მათი ერთ-ერთი ბოლო შეკრებაც. გულნარა ხელმძღვანელმა სწორდაც რომ საგანგებო დავალება მისცა მამის თითოეულ კვალმაძიებელ და თემურელ აქტივისტს. ამ დავალებაში კი უმთავრესი ისევე და ისევე სამამულე ომის მონაწილეთა ახალი სახელების და ბიოგრაფიების მიკვლევა-მოპოვება და მათი საფუძვლიანად შესწავლაა.

დღეს ამ სახელებსა და ბიოგრაფიებს პიონერთა მოპოვებული მასალებით დამძიმებული ორი ალბომი



ოლია ბებოს მორყეულ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა უჭირს და მუშახელი დაეგანზარეთო... საკუთარ თავზე უფრო მეტსაც იღებენ — კიბეს რომ მოგრჩებით, სახურავის გამოცვლის საქმეც უნდა მოვავაროთო, — ახლავე თადარიგს იჭერენ მესამერაზმელები — მაია კუპატაძე და თეონა მეგრელიშვილი.

ცნობებთან და ფოტოსურათებთან ერთად, წითელკვალმაძიებლებსაც უხვად მიაქვთ სკოლაში. ამ ექსპონატებს პიონერთა ოთახის თემურელთა კუთხეში ყველაზე საპატიო ადგილი ეთმობათ.

დიდი გამარჯვების 40 წლისთა-

გვაცნობს. სახელი ბევრია: აი, თუნდაც, ყირიმის ბრძოლების მონაწილე ვანო ფარადაშვილი, შემდგომში განზეთ „კომუნისტის“ კახეთის ზონის კორესპონდენტი, თელაველი ვეტერანი არჩილ თვალაშვილი, პენსიონერი პედაგოგი შალვა გოცირი-

ძე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი მშაფა გოგიაშვილი, მისი ძმა ოთარ გოგიაშვილი, სკოლის აწ გარდაცვლილი მასწავლებელი დავით ჩოხელი, მარუხის ბრძოლების მონაწილე აკაკი ბერეჟაკივილი, სხვაგვარადაა... ფოტოსურათები, ომგადახსენი ადამიანების ხელთ ნაწერი ფონტიკული ზოგონებები, მათი გრძელი და ძველი ცხოვრების ამბები... ეს ყველაფერი დღეს თემურელთა კუთხის ოქროს ფონდს შეადგენს, ისევე, როგორც ოლია ბებიას მეუღლის — ამირან კალმხანელიძის ფოტოსურათი, ხოდანწლით ვეტერანის ვანო ლლოლაძის ჯარისკაცური მათარა და ანდრო შინგაზღვილივის სამუშაო რუკა — ფოტოტული, საბრძოლო ადგილებში მონიშნული, დღემდე ფაქიზად ყდამი ჩანს მული...

ამ ადამიანთა ცხოვრების მაგალითების გაცნობა ამ დიდ ძნელბედობაგამოვლილი ადამიანებისათვის რაც შეიძლება მეტი გულწრფელი სიხარულის რეჟებში ეხმარება სკოლის 80-მდე თემურელს: მისა სავიანო შვილს, ალიკა კობიშვილს, ნინო მჭედლიშვილს, დათო დედბერიშვილს, ოთარ დიმიტრაშვილს, თამრიკო ყარაულაშვილს, მია კუპატაძეს, თონა მეგრელიშვილს... ასევე ეხმარება იგი სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში გაერთიანებულ პიონერებსა და კომკავშირელებსაც გმირ პიონერთა და კომკავშირელთა ნათელი ცხოვრების მაგალითების დანახვასა და ვაჯრებაში, ოკერაცია „წიგნადმეგრული სხაივების“ წარმატებით დამთავრებაში, მარშრუტით — „სსკ — ჩემი სამშობლო“ — ჩვენი ქვეყნის გმირ ქალაქებში დაუსწრებლად მოგზაურობაში, სამშვიდობო მანიფესტაციის მოწოდებაში, სამამულო ომის გმირებისა და ომის პერიოდის პავშეების განწყოილებებისა და პატრიოტიზმის უკეთ გაგება-გათავისებებაში.

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის მშადება რაზმეული რომ ადრინანდ დიწყეს, ამაში განსაკუთრებული, გამორჩეული როლი ით-

ამაშა სკოლაში გასულ წელსაც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნულმა მთებერვალმა — „ანტიფაშისტის დღემ“, არკადი გაიდარის 80-წლისთავის იუბილემაც, რომელსაც პიონერებმა „ლიტერატურული დღეა“ მიუძღვნეს, პიონერების მიერ კისნისხვის საბჭოთა მეურნეობისა და კურდელაურის კოლმეურნეობის ზვრებში გატარებულმა დღეებმაც, რომლის დროსაც გამომშაგებელი მთელი თანხა მეოთხესკოლელებმა მშვიდობის ფონდში გადაიტვიცნეს.

სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების დიად თარიღს მიუძღვნა პიონერები თავიანთი რაზმეულის ახალ შეკრებაზე პიონერული კურთხევის საზეიმო ცერემონიადაც, რომელსაც ომში დღეულებში გაერთა მარადიული ხსოვნის ნიშნად მშობლიური ქალაქის უღამაზე ადგილას — ზუზუმბოს გორაკზე აღმართულ მემორიალთან გამართვენი. ამავე თარიღს მიეძღვნება ლიტერატურული საღამო — „სამშობლო თქვენს სახელს სანთლებად აინთებს“ და თემურელთა უსაყვარლესი ნაწარმოების „თემური და მისი რაზმის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლიც, რომელიც გულნარა ხელმძღვანელმა და მისმა ერთგულმა თანამეგმე აქტივისტმა პიონერებმა მეტად საინტერესოდ ჩაიფიქრეს.

დიახ, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გეგმები, გეგმები, რომლებიც სკოლის უფროსი პიონერ-ხელმძღვანელის — გულნარა ნაზაროვასაგანაც და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის — თამრიკო ყარაულაშვილისაგანაც შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურ გაღებას მიითხოვს. ამასვე ითხოვს იგი თონა მეგრელიშვილისა და მისი თემურელთა რაზმისაგანაც, რაზმეულის 238 პიონერისგან, თითოეულისაგან, ვინც ცდილობს კარგი სწავლითა და საინტერესო მოვლენებით გამდიდრებული საზოგადოებრივი აქტივობით შეენიანოს საკავშირო პიონერული მარშის დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მეტად საპასუნისმეგებლო მიმდინარეებას.

მ. საბარბელსი ფოტო

ბიოგრაფიული

კრიტიკული
პუბლიცისტი

ათი საფლავის ქვა

იმ ცხრა ძმას, დვოსის თუ ფარადას, მკრდზე რომ დააკვდა მარბადას, სიცოცხლის უფლება მარად აქვს. ცხრა უდრის ცხრა უკვდავ ბალადას, მეთოდ დედაა, არადა ქალობას ქმრის ახვრით მალავდა... აბა, ვინ იტყოდა არადას, როდესაც უჯრდა მარბადას? ეს ქვები ამ მიწას ფარად აქვს და ფარად ექნება მარბადაც!... შემკული ჩუქურთმით, ფრესკებით ჯილდოდ აკრია ეს ქვები ომში გამარჯვებულ მარბადას. იცვდა, კვლავ იცვას საფიცარს, მეწყერს და ქარწივმას არ ატანს, — ქვები აფარია ამ მიწას, არა — ტანს, არა — ტანს, არა — ტანს...

პარადიული ნათელი

კაცს ვერ იპოვნი არაგვეს, ძმობაში თან არ გადაყვეს; ქელს ვერ იპოვნი არაგვეს, ხეს არ ეტრფოდეს სააკვეს; ბუნქს ვერ იპოვნი არაგვეს, თუ საქმეელის სუნს არ აქმევს; რკინას ვერ ნახავ არაგვეს, თუ მის საკვეთელს არა ჰკვეთს; ტალა არ უდის არაგვეს, თუ გზაგზა საკვეს არა ჰკვეს; ქვა არ ავდია არაგვეს, თუ დაფარულ ცეხსლს არა ჰკვეს; წვეთს ვერ იპოვნი არაგვეს, თუ ქვიდან ქვიმას არა ჰკვეს; რომ მოუზიდავთ არაგვეს, იმ ქვიმით მცხეთა აკვეს; გუშინ გინვლთან არაგვი ვინადაქვისთვის გარაგვეს, არაგველი ნათელი რომ აღდეს სამას არაგვეს.

ფილო კაკას სიზმარი

პალკინი ჩაქვიშვილი

მხატვარი თემურ შხიძიძე

მ ო თ ხ რ ა ბ ა

ლურსმანიძით მართ ჩაბდილი ამ მთავრი.

რ. ბაგვათიძე

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩვენი სოფლის შე-
რეულ მალაზიაში, სადაც ყველა წვრილმანი იყიდება,
კარაქი ვათავდა და კარგა ხანს აღარც მოუტანიათ.

ხალხმა ითმინა, ითმინა, მერე ერთმა გაბედა და
გამყიდველს აუყვირა: მთელი დღე რომ დომინოს თა-
მაშით იკლავ თავს, წაბრძანდი და მოიტანე, კარაქის
გაუმითვის სხვა სოფლის მალაზიაში სომ ვერ ვივლი-
თო.

— ივლით, თორემ ძალიან ბევრს იყიდითო, — თავი
არ აუწყვია დომინოს თამაშში გართულ გამყიდველს,
— როგორ მოვიტანო, არ იძლევიანო.

ხალხი მიდგა-მოდგა, სხვა სოფლის მალაზიებშიც
შეიხედეს, მაგრამ... ორ თვეზე მეტია, კარაქი თვალთ
არ გვიანახავსო, ჩიოდნენ ნოქრები.

— აბა, თუ არ მოიტანენ, ვნახავთო! — ჩაილაპარაკეს
ზოგიერთებმა, ადგნენ და საჩივარი აფრინეს რაიკომში;
მოდიო, მოგვხედეთ, ჩვენს მალაზიაში კარგა ხანია
აღარც კარაქი იყიდება, აღარც რძე, არც ყველი და არც
ხაჭოო.

ერთ დღესაც ჩვენი სოფლის ცენტრში — წყაროს-
თან შავი „ვოლგა“ გაჩერდა. გამდოვიდა პარტიის რაი-
კომის მდივანი. უკან ჯაგლავა „კოლხოზნიკით“ — მეურ-
ნეობის დირექტორი და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე
მოპოყნენ.

რაიკომის მდივანი მოვიდაო, გაიყო ხალხმა და
ერთ წუთში წყაროსთან შეიყარა მთელი სოფელი.

მდივანმა განცხადების ავტორი მოიკითხა.

— აქა ვართო, — წინ წადგნენ გახარებულები — აბა
ვნახოთ, თუ ეს საქმე არ გამივალა.

— კარგა ხანია თქვენთან ამოსვლა და ლაპარაკი მინ-
დოდა ამ საკითხზე. აქამდე ვერ მოვასერებე. კარგი ჰქე-
ნით, განცხადება რომ გამოგზავნეთ, ამაღ ჩვენი შეხ-

ვედრა დააჩქარა, — დაიწყო მდივანმა, მერე კი — სოფ-
ლის მალაზიებში ყველი, კარაქი, რძე, მაწონი, ხაჭო
არ არის და ერთ ხანს არც იქნებაო, — მოჭრით თქვა.

გაბადრული სახეები წითლად აელანძათ განცხადე-
ბის ავტორებს.

— რატომ? სოფლელები ამ ცხოვრების გერები ვართ
თუ რაშია საქმე? — მაინც გაუბუეეს.

— ამ სოფელში რამდენი კომლია? — დინჯად იკით-
ხა მდივანმა.

— სხე მეტი! — ვილაცა შეეშეველა განცხადების ავ-
ტორებს.

— რამდენ კომლსა ჰყავს ძროსა? — ისევ იკითხა
მდივანმა.

ზუსტად არავინ იცოდა, ამიტომ პასუხმა დაიგვიანა.
რაიკომის მდივანმა საბჭოს თავმჯდომარეს გადა-
ხედა.

— თხუამეტი ძროსა, ორი კამეჩი და შვიდი მოზარ-
დი! — ფრიადოსან მოსწავლესავით სხარტად უპასუხა
საბჭოს თავმჯდომარემ.

— ომამდე როგორი მდგომარეობა იყო?

— ომამდე ამ სოფელში ას ოცი კომლი ცხოვრობდა
და ორას ოცდაათი მეწველი ძროსა ერიცებოდათ, სა-
მოცდაათი ფურკამეჩი, ორმოცი სული სარკამეჩი, ას
ოცდაათი მოზარდი, ხუთას სულზე მეტი ცხვარი, ამ-
დენივე ღორი, ფრინველი კი — ვაცილებით მეტი.

— იცით თუ არა, რომ ეს სოფელი ომამდე პირადი
დამსხმარე მეურნეობიდან ოთხას კილოგრამ ერბოს ას-
ყიდებდა სახელმწიფო, ექვსას კილოგრამ ყველს, მატყ-
ლი და კვერცხი სკა იყო. ამავე დროს, თავიანთ მოთ-
სოვნილებას რძის პროდუქტებზე მთლიანად თვითონ
იკმაყოფილებდნენ. არავინ ჩიოდა, ჩვენი სოფლის მა-
ლაზიაში თბილი რძე, ახალი ყველი და ცინცხალი კა-

რაქი არ იყიდებო. გასაგებია? — ჰკითხა მდივანმა განცხადების ავტორებს.

— დაის! — უპასუხეს დაბნეულებმა, თუმცა ვერაფერიც ვერ გაიგეს.

— მაშ, არაფერი გვეშველება? — იკითხა ვილცამ.

— როგორ ახა! — უმაღლვე უპასუხა მდივანმა. — იყოლიეთ პირუტყვი, ფრინველი, მოიყვანეთ მცხენეული, სილი და გეშენებთ ყველაფერი. სოფელში მცხოვრებმა ოჯახმა, რომელსაც საკარმიდამო ნაკვეთი აქვს, თვითონ უნდა დააკმაყოფილოს ოჯახის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. რაც შეეხება სამრეწველო საქონელს, თუ რამე გჭირდებათ და მალა-ზაშიმ არ არის, ბრძანეთ, დღესვე თავისი ხელით ამოვატანინებ რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს.

ვერაფერიც ვერ თქვეს.

— აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! — ჩაჯდა მანქანაში და თვალის დახამსამებაში გაქრა.

შე „კოლფას“ უკან ფხვანით გამოეკიდა ჯაგლაგა „კოლხონიკი“.

იმ საღამოს გაღულუნებული ლუმელის გვერდით ტანტზე წამოწოლილმა მამაჩემმა თავის ცოლ-შვილში სხამაღლა გააკრიტიკა რაიკომის მდივანი:

— ვე რომ ლაპარაკობს, არც მთლად ვგერა საქმე. პირუტყვი რომ ვიყოლიოთ, სად მოვაძოვოთ? ზამთარში რითი გამოვკვებოთ? ან ჩალა საიდან მოვიტანოთ, ან თივა სად დავაშაღოთ? წინააი რაც სახნავ-სათესი მიწები იყო, ესლა იქ ბაღ-ვენახებია გაშენებული. თუ სადმე რამე ვაითიბება, მეურნეობა თიხავს თავისი პირუტყვისათვის, თუ სადმე საძოვარია, მეურნეობა ამოვებს თავის საქონელს, სიხვის სატყეო მეურნეობა დავატარონა. ვერხვისა და ალვის სის ნერვებს რგავენ — ხელოვნურ ტყეებს ვაშენებთო. ნარგავებში საქონელს არ უშვებენ. ან მამაცხოვრებულებმა ისეთი სხეები მაინც დარგან, ნაყოფი გამოიხსნას, ან მასალად გამოდგეს. ესეც არ იყოს, ესლა ვერხვის და ალვის ხეების გასარება მთავარი თუ პირუტყვის მოშენება, რძე, ყველი და კარაქიო?

— კაცო, აქ რომ მელაპარაკებო, რომელი დადგენილების გამოტანი მე მხანა, იქ არ იყავი, რატომ მდივანს არ უთხარიო? — უთხრა დედამჩემმა.

მამაჩემს სიტყვა პირზე შეაშრა. უურა, უურა დედას და გუნებაწამსდარმა ჩაილაპარაკა:

— ელაპარაკებოდნენ და აღარ ჩავერიე, თორემ რატომც არ ვეტყვოდიო.

მერე გაწუმდა.

ყველა ჩუმად ვისხედით გაღულუნებული ლუმელის გარშემო, ყველა თავისთვის ფიქრობდით.

გარეთ კი თოვდა.

ხვარვილად, ბარაქიანად თოვდა.

ხელისგულისრდენა ფარტენებს ჩამოჰყრიდა.

ლუმელზე ლობიოიანი ქოთან ქოთქოთებდა, სარტკვლს სულ ბუქნის ათამამებდა.

შარნალ „პრონისონიმი რაიკოსადალალ კონსერვა მოხორთას, ფილო პაპას სიზაბი“ მიორა პრემია მიიხნა.



— ე, მე კი ვიცი, როგორც უნდა მოვიქმე და... ყველამ თავისი იკითხოსო, — თქვა მამამ.

— მაინც რას პირებო? — ჰკითხა დედამ, თან საგრესელმა თითისტარს აბზრიალებდა, მატყლს ართავდა.

— მთავს გაზაფხულზე გაიგებთო! — არ გაგვიმხილა, რა ჰქონდა ჩაფიქრებულიო.

გაზაფხულზე, ჩირთ-ყვავილის გამოშვებამდე, მამაჩემმა მეურნეობის გაპროგრესული ვენახი მოხნა, შვალერი შეაკეთა, ვაზი გასხლა, დააკადა და ძირები გამოუთონა. მერე ორი ათასი მანეთი გამოიტანა შემწანსველი საღაროდან და დედას დაუბარა, ვენახს და სახლ-კარს ახლა შენ მიხედე, მე მთაში მივდივარო.

— კაცო, რამ გადაგარია, რომელ მთაში მიდინარ, იქ რა გინდაო? — შეუტია დედაჩემმა.

— იქ მივდივარ, საიდანაც მამაჩემის მამა გამოიქცაო.

— მერე, იქ რომ კარგი ყოფილიყო, პაპაშენი განა აქ გამოიქცეოდაო.

— წავად, დავხედავ და, თუ არ მომეწონა, მეც გამოვიქცევიო.

— გალსოქცევად იქ რად მიდინარ, შენ თუ ფეხები: არ გექვებაო.

— ქალო, ვერ უურებო, რომ სოფლის მალაზიებში ყველ-კარაქი აღარ მოაქვთ, წავალ მთაში, საქონელს გაიკინე, ბაღებს ძროხეულს ზომ ვერ მოვაკლებო.

— კაცო, რაღა მთაში, ერთი და ორი ძროხის ყოლა აქაც შეიძლებაო.

— აბა აქ სადა? სომ ხედავ, აქ არც სათიბებია საკმარისი, არც საძოვრებიო.

დედაჩემი მართალი იყო. სადაც ქვეყნის ნახარი, იქ ჩვენი ერთი და ორი ძროხაც დაეტეოდა, მაგრამ მამა რატომღაც მაინც მოისკენ მიიწევედა. სად მთის დალიანი ყველ-კარაქი, სად კიდევ ბარისაო.

მოხელს ვეძებ, მაშინ მომეჩვენა, რომ მამაჩემს სინამდვილეში რაღაც სხვა ძალა ეწეოდა მთისკენ, უყველობას და უკარაქობას კი იმიჯნებდა. ეტყობოდა, ბევრი ჰქონდა ამაზე ნაფიქრი, და ახლა, როგორც ჩიტი ნარზე, ისე იყო გასაფრენად გამზადებული და ხელის აქნევას-ლა ელოდა. სოფლის მალაზიებში ყველ-კარაქი აღარ მოაქვთო — ესეც ხელის აქნევა იყო და დედაჩემის წინააღმდეგობა ამაო გამოდგა. ერთ დილით ქუდი დაიხურა, ჩემს გზა-კვალს მე თვითონ ვაგაგებინებთო, დაიბარა და წავიდა.

დედა ძალიან კარგ გუნებაზე იყო.



გაჯანსაღებულ მწვანედ რომ აიქოწრა პანკისის ხეობის ტყეები, ყვავილებით რომ დაიპენტა ბაღები, სოფელი იმდენი სამუშაო გარჩდა, აღარ ვიციდიო, როგორ გელოდოდი გვევქვითებინა. აი, მაშინ მიგხვდით, მამაჩემი თურემ რამდენ საქმეს აკეთებდა შინ და გარეთ — ჩუმად, უხმაუროდ.

- აჰ ამდენი საქმეა, აღარ ვიცით, რომელ ერთს მოვკიდოთ ხელი, ის კაცი კი წავიდა და დაიკარგა! — ჯავრობდა დედა.

მართალი გითხრათ, სკოლისკენ დიდად არ მიმიწევდა გული. ვსწავლობდი ისე, რა! უბრალოდ, მრცხვენილი, ხალხს არ ეთქვა, საშუალო სკოლა ვერ დაამთავრავ, თორემ სულაც თავს მივიანებდები. დიას! დიას! თავს მივიანებდები სკოლას და საქმეს მოვკიდებდი ხელს.

ზოგს მშობლებისა ეშინია, კარგად რომ არ ვისწავლო, დედაჩემი თავს მოიკლავს, მამაჩემს ინფარქტი დაემართებაო. ჩემები სწავლას არ მახალბენ, გინდა — ისწავლე, არ გინდა — ნუ ისწავლი, შენი ნებააო, — მეუბნებიან.

კაცია და გუნება. ზოგი სტუდენტობაზე გიყვება, მე კი ინსტიტუტში ქული რომ შემიგდონ, გამოსატანად არ შევალ.

შეიძლება ახლა ეს ჩემი ნათქვამი იმას ჰგავს — „მკვებ იყო ის ყურძნისი...“ მაგრამ მე კი გულწრფელად ვამბობ ვა, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა.

მოკლედ, გამოსაშვებ გამოცდებზე ზრდილობის გულისთვის მივდიოდი.

ბუკრი არაფერი ვიცოდი, არც ვუწხდი, ჩამჭრიდნენ თუ არა. მასწავლებლებმა სამიანები „მომამავეს“ და „მამიწყვიტეს“ თავიდან.

- აგაშნათ ღმერთმა! ახლა თქვენც კარგად იყავით და მეც! — ჩავილაპარაკე, ბოლო გამოცდიდან რომ გამოვედი, თან შევებით ამოვისუსთქე, თითქოს უზარმაზარი ტვირთი მომეხსნა მხრებიდან.

შინ რომ მივედი, მამაჩემი დამხვდა მოსული. სახლის წინ ვამლის ქვეშ სკამზე იჯდა, ქული მუხლის თავზე ედო და ისვენებდა, ამ წუთას ჩანდა მოსული.

მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, ერთმანეთი მოვიკითხეთ.

- მე ძალიან კარგად ვარ. შენ რა ჰქენი, სკოლა დაამთავრე, თუ ვერა? — მკითხა.

- დღეს მოვრჩი!

- ჰოო, აბა აწყობილად ჩვენი საქმე, — გაუხარდა.

- რა საქმე-მეთქი.

- მაგას მერე გიტყვიო.

დედაჩემი ღუმელთან ტრიალებდა. იქვე მაგიდაზე იდგა კარაქით თავმოხმული დიდი მომინანქრებული ლანგარი და სამი-ოთხი თავი ყველი.

- დედი, ეს კარაქი საიდან? — ვკითხე.

- მამამშენმა მოიტანა.

- მითიდან?

საკმელს რომ ვჯამდით, მამამ გვიამბო, სად იყო და რა გააკეთა იმ სამ თვეში.

უკან ფეხში წასულა, სოფელ ჩალახვეში, საიდანც მამაჩემის პაპა გადმოსახლებულა ოდესღაც.

- სოფელი კი არა, ნასოფლარია! — რაღაცნაირი სინანულით თქვა მამაჩემმა. — ახლომხლო მარტო ერთი კომლიდა ცხოვრობს. მივედი, ვეძებ, ვეძებ და როგორც იქნა მივავენი პაპის ნასახლარს. მოძალებული ჭინჭარი, შამბი და შალდაყი ძირფესვიანად ამოვგლიჯე, იქაურობა მოვასუფთავე. ყორის ქვები ავებერტყე, შუაში პატარა ქოხი ჩავდგი, ნაქერქალით გადავსურე და იქ დავთვიე დროებით ბინა. სამი მეწველი ძროხა ვიყიდე, ერთიც მოზვეერი. ჯერჯერობით ამის პატრონი ვარ, მეტი ვერაფერი მოვასწარი. — მოკლედ ჩავგაბარა ანგარიში.

- მოზვეერი რაღა ეშმაკად გინდოდა, იმის მაგიერ მეოთხეც ფური გვეიდა, მოიწყებებოდა, — უსაყვდლო რა დედამ.

- მოზვეერი სახვალიოდ... ის კი არადა, მეორეც უნდა ვიყვიო.

- ხვალ რა, ხბოებს მოიგებენ თუ მოიწყვლებიან?

- დაჯავჯვდებიან, დავკოდეც და უღელში შევაბამ.

იქ მთაა, ცოცხალი გამწვევი ძალაა საჭირო! აბა ტრაქტორით კი ვერ მოხვნივ იმ საკარტოფილეს და სასოტნეს, მე კი რომ შევიფუფლე. შავი, ნასვენიბი მიწაა, ყოჩაღი კაცი ისეთ ბოსტანს მოიყვანს, ავ თვალს არ დეინახვება. მაგრამ ჯერ სახლი უნდა ავაშენო, ბაღჩა-ბოსტანს მერე მივსვდავ.

- რა სახლი, ადამიანო, რის სახლი? გვეერები? — შეიცხადა დედაჩემმა.

- კი არ გვეყრებით, სახლს ავაშენებ და მერე შენც იქ წავაბრძანებ... აბა იმ ქოხში ხომ არ მივიყვან ამხელა სახლში ნაცხოვრებ ქალს, ჩემო მშეთუნახავო! — გაეუსურა მამა.

- აქ ძროხებს ვიყიდი და ვინმეს მივაბარებო, ახლა იქ ცხოვრება მოვიინდა? — ცხარობდა დედა.

- კო, ვერე ვთქვი! იქაურობას რომ გადავხვდე, საცხოვრებლად მომიწონა და ახლა ასე ვამბობ. აი, შენ რომ ამოხვალა და იქაურობას შენი თვალით ნახავ, მერე შენც ასე იტყვი!

- კო, აბა, ვიტყვი!.. შენ მაგის იმედი გქონდეს!

იმ საღამოს დაძინებამდე გაგრძელდა დედაჩემისა და მამაჩემის კამათი. მამა იქაურობას ყველაფერს ლამაზად ხატავდა, დედა უნახავად ყველაფერს იწუნებდა.

მე გუნებაში მამის მხარეს ვიყავი, მაგრამ რა მათქმევინებდა! „უფროსების კამათში უმცროსებმა ცხვირი არ უნდა ჩაყონ“, — ჩვენს ოჯახში ასეა დაკანონებული.

განანგრძლივებული თათბირ-კამათი ასეთი შეთანხმებით დაიმთავრა: მე და მამა ორ დღეში მოვეშვადებოდით და წავიდოდით მთაში, სადაც უამრავი საქმე გველოდებოდა.

მამამ რვეულის ფურცელზე ჩამომწერინა ათასი წვრილმანი, რაც ყველაზე უფრო დაგვირდებოდა: ნავთით და ნავთის ლამპით დაწვებული, ტოლით და ცელოფანის პარკებით დამთავრებული.

ჩამონათვალს რომ გადავხედეთ, იმდენმა რაღაცამ მოიყარა თავი, სატვირთო მანქანა ძლივს დაიტევდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ორ-სამ დღეში ყველაფერი მოგვეგროვებინა, მერე ავტომანქანა დაგვექირავებინა და ყველაფერი ზედ დაგველაგებინა, ჩვენც დავმსხდარიყავით და წავსულიყავით.

რისი წაღებაც გვინდოდა, თითქმის ყველაფერი ვი-

ისე უნდა გავამზადო, შუაფსოში წვალემა აღარ დამჭირდეს, ცხენ-ჯორები მოვრეყო და პირდაპირ ავტოდლო.

დილით ექვს საათზე მოგვადგა დაბარებული სატვირთო ავტომანქანა. ჩვენ უკვე ფეხზე ვიყავით. შემოვარდა ფაცაფუცით შოფერი, აბა, ჩქარა, აბა, უცებ დავაყარეთ ბარგი და წავიდეთო.

დაფთვარდით და სულ მალე ყველაფერი ბრეზენტ-გაღაფარებულ ძარაზე დავაწყვეთ კარგად და საიმედოდ.

შოფერი გამოქნილ-გამოქეცილი ბიჭი იყო, სულ მოკლე-მოკლე გზებით იარა. გადავედით თიანეთში, გადავიარეთ გორანა და ნატასტართან საქართველოს სამხედრო გზაზე გავედით.

არაგვის დინებას აღმა შევუყევით.

ჟინვალკესის მშენებლობამ მომტაცა თვალი. მის შესახებ ბევრს წერენ გაზეთები, გადმოსცემენ ტელევიზიონაც, მაგრამ საკუთარი თვალთ ნანახი მანინ სსვავა.

არაგვის გაღმა გავედით.

ჩემთვის უცხო გარემო იყო. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი. მინდოდა ყველაფერი დამეჩანა, დამეჩან-



შოვეთ. ზოგი მაღაზიებში, ზოგი შინ ვეჭონდა, ზოგიც მეზობლებს გამოვართვით.

მთელი საღამო ბარგის მოხერხებულად შეკერას და ჩალაგებას მოვანდომეთ. მამა ყველაფერზე ამბობდა,

სოვრებინა, მაგრამ ავტომანქანა ისე სწრაფად მიჰქროდა, თვალის ერთი გადავლებების პეტს ვერაფერს ვასწრებდი.

მამამ მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვთა შესაყარი დაშანხა. დამანხა ანანურის ციხეც, რომელიც მის გულზე ანთებული კელაპტარივით წმინდა და სინეთელი მოჩანდა.

გზა მდინარის ნაპირს აუღვევდა. არაგვი ბარისკენ მიიჭებოდა, ჩვენ — მთებისკენ. ვიარეთ, ვიარეთ და მალაროსკარში მალაზის წინ დასასვენებლად შევეჩერდით.

მალაზიაში შევედით, მივიხედ-მოვიხედეთ, მამაჩემმა კიდევ რაღაც-რაღაცები იყიდა, მევე სასადილოში ავედით და ხინკალი შეუკვეთეთ.

მოვიკიტანეს, მაგრამ არ მოგვეწონა, უხალისოდ ვჯამეთ, კიბეზე რომ ჩამოვდებოდით, მამაჩემს ვასხენდა ელიაკის ნათქვამი კათა:

მალაროს სასადილოში
შაოველ შარახველი,
არ მამეწონე, ხინკალი,
შაგირცხვეს შამახვეული.

ისევე გზა.

ხან მთათა ფერდობზე მერცხლის ბუდეებივით მიკრულ სახლებს გავეურებეთ, რომლებსაც საცალფერო ბილიკის გარდა არავითარი გზა არ უდებებოდა, ხანაც პატიოსანი კაცის გულივით კამკამა არაგვის ტალღებს გადავყურებდი.

— აი, ეს გზა ადის ჩარგალში, — მითხრა მამამ.

მომეგონა კისერი, დამაწყდა თვალები, მინდოდა ვაფსაეული ადგილები რაც შეიძლება მეტი დამეხანა, მაგრამ გზისა და ხევის მეტი ვერაფერი დავლანდე, ისე მაიშლივინებდა მანქანას ჩვენი გადარეული შოფერი.

შუადღე გადასული იქნებოდა, შუაფხოში რომ ავედით.

ბარკი მამაჩემის ნაცნობის — ხვთისო ბიძას სახლში ჩამოვაწყვეთ.

შოფერმა ფული ჩაიფხა და დაგვეშვიდობა.

სახლის პატრონი, ხვთისო ბიძა საღამოს მალე დაბრუნდა. მამაჩემის დანახვა გაუხარდა, დიდი ამბით შეგვხვდა.

ახალგაზრდა კაცია, სვილისფერი, მხარბუჭიანი, ღელაჟა ლოყებიანი, ძვალმსხვილი, ჯანმრთელი და ჯანინანი.

— ცხენები მე მყავს, ჯორ-სახედრებს ენლავე შევიპირებ დილისთვის. მე თვითონ გაგვეყვებით და ბარგს ავატანინებთ, მაგის დარდი ნუ გაქვთ! — გვითხრა. მერე ერთად მიწყობილ ბარგს ვადახვდა. ზოგს ხელიც მოკიდა და ასწია, მიძიმეა თუ მსუბუქიო. გაივარაუდა და, ცხრა საფერზე ყუფთაო, თქვა. მაშინვე გატრიალდა, მეზობლებს ვაღაღასხა, ერთს სამი სახედარი სისხოვა, მეორეს სამი ჯორი. მევე მობრუნდა და თავის ახალგაზრდა მეუღლეს უთხრა, ეხლა დავტრიალდეთ, ხინკალი და-ვახვიოთო.

დღლით თვირბინდზე წამოვიშალეთ ლოგინიდან. ხვთისო ბიძამ მეზობლის სახედრებზე კარზე მოყვარა. შევკაშმეთ, ავბარვეთ, დიასხლისმა გასულელი ზინკალი მოგვაროვა ხის სონით. ჩვენც პაიპიანად ფეხზე დგომით შევჭამეთ. მამაჩემმა და ხვთისო ბიძამ გზამგზავრობა დაგვილოცეს, თითო თიბიტაური გადასუხეს და გზაწერილს დავადექით.

— წინ მე წავალ, ჯორებს გავუძლები, მევე შენ წადიო, მეზობ, სახედრებს გამოუძეხი, ბოლოს ივანე წამოვა და ცხენებს გამოვრეკავს, — მითხრა ხვთისო ბიძამ.

ასე გავმწყრივით საუკანაფშაო ბილიკზე.

არაგვის გაღმა ხის ბოგირით გავედით და აღმართს შევედექით.

ჰაერი იყო გრილი და ცინცხალი, როგორც მთის ანკარა წყარო.

მიყვებოდით ცხენის ნაღებით გადაჯეგელ ბილიკს და თითქოს რაღაც მიხაროდა.

მსუბუქად მივაბიჯებდი.

ჭალაში დარჩენილ არაგვს მალლიდან რომ გადავხედე, ასე მეგონა, მკლავები რომ გამეშალა, ვაფორინდებოდი.

დაგუბებულ სიწუმეს არღვევდა ქვემოთ დარჩენილი არაგვის იღუმალი შუხილი, აბარგული ცხენ-ჯორ-სახედრების ფენის ხმა, ბილიკის თავზე ლოდიდან წამოფრენილი და ცაში წყრიალ-წყრიალით აჭრილი ცასწყალისა მშის საგაღმებელი.

ბილიკი ხან აღმართს მიუყვებოდა ზიგზაგურად, ხან განიოქვებდა. ფერდობზე ვაწოლილი ბილიკი ზოგან ორწყერი ბაწირივით გაიყოფოდა, პარალელურად მიდიოდნენ თხუთმეტი-ოცი მეტრის მანძილზე, მევე ისევე შეერთდებოდნენ. ერთხელაც ჩვენმა მეგზურმა — ხვთისო ბიძამ მოიხედა და დამიძახა:

— ე, ძმობილო, მე რომელ ბილიკზედაც ვავატარებ ჯორებს, შენც ზუსტად იმ ბილიკზე გამოატარე ეგ სახედრები, თორემ სადმე გადაჰყრი!

„ბილიკი — ბილიკი, რატომ გადაყვრი?“ — გავიფიქრე, მაგრამ მევე რომ დავაჯვირდი, ხვთისო ბიძა მართალი იყო. გაყოფილი ბილიკიდან ყოველთვის მხოლოდ ერთ-ერთს ემჩნეოდა ცხენის ფენის კვალი. ის ბილიკი იყო ყოველთვის მართალი და საიმედო.

ვიარეთ, ვიარეთ და მივადექით ნაროულას ხეებს.

ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო მთის ნაქაღულთან პირისპირ; დაღმართზე გამობრბოდა, ქვა-ლოდებზე თავ-პირს იმტვრევდა, მსუფხვად იფანტებოდა, მევე ერთიანდებოდა, შემდეგ ისევე თვალ-მარგალიტად იბნეოდა, ისევე იკრებდა ძალას, დასაბულ ლოდებს თავზე ასტებოდა და ასე გაკურცხლული მიისწრაფოდა დედა არაგვისაკენ.

ერთი სული მქონდა, შეგვჩერებულყავით, დაგზრილიყავით, პირზე შემეხსა, დამეჩოქა, დაწაფუბოდი, მაგრამ ხვთისო ბიძა თავის ჯორებიანად ისე ვასცდა, მეგონი ვერც შეამჩნია.

მეც ვეღარ შევჩერდი, რადგან უკან ცხენები მო-
ლოდნენ.

მომჩვენა, რომ არც ნაროულას მოუქცევია ჩვენთ-
ვის ყურადღება. მას თავისი გზა ჰქონდა, ჩვენ — ჩვენი.
ულრუბლო, მზიანი ამინდი იყო და ცთამდე აუუ-
ღებულ მთათა სიღიადე და სიზვიადე მსიბლავდა.

მთების მეტი რა მინახავს. თოვლიანი და ნისლე-
ბიანი სპეროზა ზეზე წამომდვარი თეთრნაბდიანი,
თეთრწვერა გოლიათი ბერიკაცივით გადმოჰყურებს
პანკისის ხეობას. მაგრამ ერთია მთის შორიდან და-
ნახვა, მეორეა, როცა მის მკერდზე მიაბიჯებ, მიიწევე
მაღლა, სულ მაღლა.

მამაჩემი არავის ვაღმა და გამოღმა ნასახლარებს
მამჩვენებდა, აგერ, იქაც უცხოვრია ხალხს, აქაც, იქითაც.
უნდა კი ხუთ-ექვსი ნასოფლარში ოთხი-ხუთი კომლიც
აღარ იქნებო.

„სად უცხოვრია ხალხს, წარმოგიდგინათ!“ — ვფიქ-
რობდი ჩემთვის.

— აქედან იწყება ხომარის აღმართი! — ხეთისო ბი-
ძამ წამით შეაჩერა ჯორები.

ჩვენც შევჩერდით.

აბარგული ცხენ-ჯორ-სახედრები მაშინვე ბალახს
მიეძალნენ.

— ცოტა სული მოითქვან და აღმართს შევედგეთ! —
თქვა მამაჩემმა.

— აქაურმა გზა-ბილიკებმა ხომ არ შეგაშინეს, ივა-
ნე? — ჰკითხა ლომილით ხეთისო ბიძამ.

— არა, მაგრამ...

— აღმართზე სიარული გულისა და მუხლებს
ვარჯიშია, ჯანმრთელობა იცის. აბა, მამაჩემო, მამაჩემო,
ხეთისო ბიძა კვლავ წინ გავეციღა.

მისვეულ-მოსვეულ ბილიკს მიყვებოდით და მიე-
ყვებოდით.

ჩვენ არა, მაგრამ აბარგული საფერხეები ჩქარობდ-
ნენ. ამიტომ იძულებული ვიყავით მათ ტემს ავეყო-
ლოდით.

— ჰე-ჰა-ჰე! ჰე-ჰა-ჰე! — იძახდა ხეთისო ბიძა და
მაღიმაღ მიიხედავდა უკან, თვალს გადაავლებდა,
ცხენ-ჯორებმა „ბარგი არ მაიქციონო“.

„აქ რომ ცხენის, თუნდაც სახედრის ზურგს ბარგი
მოსწყდეს, გათავდა!.. ვიდრე არაგვიმ არ მოადენს
წხლადანს, აღარ გაჩერდება“, — ვფიქრობდი ჩემთვის.

გული ყელში ამოვიდა, მუსლები დაცივდა, ვიდრე
აღმართს ავათავებდით.

ფიზკულტურის მასწავლებელი გვასწავლიდა: ლაშ-
ქრობის დროს აღმართზე ნელა უნდა იართოთ, მაგრამ
ახლა პირუტყვი ჩქარობდა, ჩვენ ნელა როგორ უნდა
გვევლო!

ასე იყო თუ ისე, ავათავეთ აღმართი და ზედ მივა-
დექით მოშარას — ნამდვილ მთის სოფელს.



— მერაბ, ვაჟა-ფშაველას ლექსები და პოემები ხომ
იცი ზეპირად? — მკითხა ხეთისო.

— ზეპირად? — ცოტა გავწითლდი.

— არა, მთლიანად კი არა, ადგილ-ადგილ, საზე-
პირობით.

— საზეპირობით კი... ზოგი...

— მე რომ მკითხო, ვაჟას ლექსები და პოემები ყვე-
ლა საზეპიროა... ის კი არა და, ზოგი მოთხრობაც.

— ყმედი აღმართია... უნდა კაი ძალა დაადგება მუს-
ლებს, — მამაჩემს თავისი დარღი აღაპარაკებდა.

შევჩერდით.

„აქ არც რკინის ჰიშკრები აქვთ, არც მავთულის
ბადისა და ბეტონის ღობეები, არც ელექტრონის ბო-
ძები ჩანს არსად... აქ ლამის ერთადერთი გამნათებე-
ლი მთავრე იქნება...“ — ვფიქრობდი.

ყველა სახლს უკან ან გვერდზე ბაკი ჰქონდა მოწ-
ყობილი პირუტყვისათვის და ნაკელის სუნი ნიავს
აქეთ-იქით მიჰქონდა.

— მერაბ, „მახტორიონიდან“ ხომ გახსოვს ის ადგი-
ლი, სანათა რომ ეუბნება მგზავრს:

ონიანის სამხედრო ნაწილი ლიტვაში იდგა და იგი პირველი დღიდანვე ჩაება ომში.

ერთი კვირის შემდეგ მსუბუქად დაიჭრა მუცლის არეში, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია და თავისი განუწყვეტილი ავტომატი ხელიდან არ გაუგდია.

ერთ-ერთ ხუტორთან მოხდარ შეტაკებაში დანიელი მტრის სნაიპერმა დაჭრა, ტყვიამ მძიმედ დაუზიანა ბარძაყის ძეგლი. დაჭრილმა პოზიციის შეცვლა გადაწყვიტა და ხოხობ წავიდა შორიხლო მდგარი თვის ზეინისკენ. მეორე მებრძოლმა ბარძაყის შეხვევა დაუპირა, მაგრამ ახლა მას მოხვდა სნაიპერის ტყვია. როგორც იქნა, ზეინამდე მიადწიეს, მაგრამ თვის ცეცხლი გაუჩინდა... საღამოს დაჭრილები სამშვიდობოს გაიყვანეს და საველე ჰოსპიტალში მოათავეს. აქედან კი აშხაბადში გადაგზავნეს, სადაც დანიელს ოთხ თვეს მკურნალობდნენ და ბოლოს ინვალიდად სცნეს.

1944 წლის ნოემბრიდან დემობილიზებული და სამშობლოში დაბრუნებული დ. ონიანი კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე იმყოფებოდა. წლების განმავლობაში მუშაობდა საშუალო სკოლებში მასწავლებლობაზე, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად.

დ. ონიანი მიღებული აქვს წითელი ვარსკვლავის ორდენი და ათამდე მედალი, დაჯილდოებულია საქ. ალკკ ცკ-ის საპატიო სიგელით.

ომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი დ. ონიანი ახლაც აქტიურად საქმიანობს. იგი არის ლენტეხის რაიონის კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს და სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე. მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული რაიონის ახალგაზრდობასთან. განაყოფიერებით —

პიონერებთან. ერთი აქტივით, ახლაც გულთი ემსახურება აუქვეყნო საქმეა.



ქართული ჟარბარისი.

ლენტეხის სახელო სკოლა, IX კლასი.

გული ინახავს სსოვნას

ომი რომ დაიწყო, პაპაჩემი, ვანო ბერეკაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში საბავშვო სახლის დირექტორად მუშაობდა. სამშობლოს პირველ დაძახილებზე იარაღს მოკითა ხელი და იმ ბავშვების მზიანი ცის დასაცავად გაეშურა.

იგი მე-18 არმიის ერთ-ერთ საარტილერიო ნაწილში იბრძოდა. თავის ქვეშევრდებთან ერთად გაიარა უზარმაზარი მანძილი კავკასიიდან კარპატებამდე, მტრის ტანჯვასა და ცოცხალ ძალს ანადგურებდა ნოვოროსიისკთან, მცირე მიწაზე, ტუფესკთან, უეგროდთან, ეიტომირთან, იმერკარპატის უკრაინაში. ოთხჯერ დაიჭრა, ნაღმებმა ცოცხალი დაშარბეს მიწაში, მაგრამ ოდნავ გამოჯანსაღდებოდა თუ არა, ისევ ფრონტს მიაშურებდა. მამაკობა და თავგანწირვა დაუფასდა კიდევ: კარპატებში მტრის სატანკო შენაერთის განადგურებისათვის დაჯილდოვდა სამუშაო ომის მეორე ხარისხის ორდენით, მიიღო, აგრეთვე, ხუთი მედალი და ი. სტალინის ოთხი პირადი მედალი.

ბოლო ჭრილობა მისთვის კინაღამ საბედისწერო გამოდგა: 1946 წელს ქართველმა დასტაქრებმა მძიმე ოპერაცია გაუკეთეს პაპას, ოთხი ნეკნი ამოსურეს და ამოიკაღეს მტრის ჭურვის მომავლინებული ნამსხრევები.



მიტორინა - ქონკურსი

მეორე ტურის პასუხები

1. კავკასიის დაცვისათვის გზირულ ბრძოლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი იყო ბრძოლა მარუხის უღელტეხილისათვის. ფაშისტური ჯარები 1942 წლის ზაფხულის შეტევის პერიოდში მარუხს მთავარი კავკასიონის ქედის ძირითად უღელტეხილად მიიჩნევდნენ. 7 სექტემბერს სამთო მსროლელთა დივიზია „ედელვაისის“ პოლკმა

ისარგებლა ძალთა სიჭარბით, შეავიწროვა ამიერკავკასიის ფრონტის 46-ე არმიის ნაწილები და დაიკავა უღელტეხილი. მაგრამ იმავე დღეს მარუხის დამცველებს მიეშველა სამი ბატალიონი (მათ შორის ერთი — თბილისის მე-2 ქვეითი მებრძოლთა სასწავლებლიდან) და საბჭოთა მეომრებმა მტრის წინსვლა შეაჩერეს. ფაშისტები იძულებული გახდნენ,

ურუ დაცვაზე გადასულიყვნენ. ოქტომბრის დასაწყისში ფრონტის ხაზი ჩრდილო კავკასიაში სტაბილური გახდა.

მარუხის ბრძოლებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგრძოდ — სტალინგრადის ოპერაციის და საერთოდ — ჩვენი ჯარების გადამწყვეტი შეტევის მომზადებისათვის.

2. მძიმე განსაცდელმა ხალხის მთელი ძალების მობილიზაცია მოთხოვა. ომის დროს საბჭოთა ადამი-

ომის ვეტერანი და ინვალიდი ვანო ბერიაკაშვილი მშვიდობიან შრომაშიც აქტიურად მონაწილეობდა. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიის ცენტრის ოაჯოში განყოფილების გამგედ, რიასაბუის აღმასკომში, პარტიის გურჯაანის რაიკომში ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად, ხოლო 1952 წლიდან თავის საყვარელ საქმეს — პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა და 1979 წლამდე სათავეში ედგა გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის საშუალო სკოლს. მას, ღვაწლმოსილ პედაგოგს, 1967 წელს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

ვანო ბერიაკაშვილი 1984 წლის აპრილში გარდაიცვალა, მაგრამ მისი ხსოვნა დარჩება მისი აღზრდილებისა და იმ აურაცხელი სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებთა გულში, ვისი გათავისუფლებისთვისაც იბრძოდა იგი ომის მრისხანე წლებში.

მარხს პერიკაშვილი,
გურჯაანა, ჭანდრის საშუალო
სკოლა, VII კლასი.

რეზი პაპა

ქრისტეფორე პაპა ამ ქვეყნად ყველაზე ღონიერი გვერნია მის შვილიშვილებს. ზორბაა, მხარბეჭიანი. იაყე თუ მუშტ აქა — მტრისაა. ნადირობა უყვარს. ერთხელ ვკითხეთ, დათეს თუ მოერგევიო. ვაგვიცინა: — ფაშისტებს მოერიგე და დათვი რა გამოხდებაო.

პაპა ზნორია გვეყვება ზღაპრებს. ნადირობის თავგადასავალს, სხვა საინტერესო ამბებს. ომზე კი თითქმის არ გველაპარაკება. თერთონ მოვისმინე, ერთხელ თქვა — „ბებუყებთან ომზე ლაპარაკი მივირისო“.

ზოგი რამ მაინც შევიტყუე.

ჩემი პაპა, ქრისტეფორე როსტომაშვილი, 1942 წლის თებერვლიდან ჩაება ომში. 18 წლის თელაველი ჩემი ანაბის 414-ე ქართულ დივიზიაში ჩარიცხეს. ბრძოლებით გაიარა დიდი გზა თერგიდან სევასტოპოლამდე, თავისი ქვეყნის ცეცხლით ანადგურებდა მტერს ფეოდალისიანად, ქერჩში, სიმფეროპოლთან. დეკავდა სევასტოპოლს. გაუმტო შიშოლს, წყურვილს, დაღლილობას, კონტუზიას. 1943 წლის ზამთარში სევასტოპოლთან, საპუნ-გორაზე პაპა მძიმედ დაიჭრა თავში, მაგრამ იარა შეუხიბრცდა თუ არა, ისევ ფრონტს. დეკავდა სევასტოპოლს. გაუმტო შიშოლს, წყურვილს, დაღლილობას, კონტუზიას. 1943 წლის ზამთარში სევასტოპოლთან, საპუნ-გორაზე პაპა მძიმედ დაიჭრა თავში, მაგრამ იარა შეუხიბრცდა თუ არა, ისევ ფრონტს. დეკავდა სევასტოპოლს.

სახეზე ახლაც აქვს ღრმა ნაჭრილობები, წარბზე მოთკი კანქვეშა პაწია ნამსხრევრი დაუგორავს ბურთულასავით. პატარაობისას მივიკრდა, რატომ ჰქონდა სახე ასე დაჭრილი. მუდამ ვეხეწებოდი, ლამაზ ლოყაზე ეკოცინებინა. ახლა კი სულ იმ ნიაბრე ლოყაზე ვეფერები. ვეხეხებოდა: — მაგ ჭრილობამ მიშველა ბებიათქვენის შერთვისას, ხეცსურები დაუჩხავ ვეყაცს კარგ ქალს არ გაატანენო (ბებია ხეცსურია).

ქრისტეფორე პაპა სამშობლოში 1947 წელს დაბრუნდა. ომის დამთავრების შემდეგ მან და მისმა თანამებრძოლებმა დიდი აღშენებლობითი სამუშაოები ჩაატარეს როსტოვში, გორკში, კიროვებადში, მინერვალურში.

მე მხოლავს ქრისტეფორე პაპას პიროვნება: მას კეთილი გული აქვს და სულაც არ ტრიაბიხოს თავისი ჯილდოებით. არადა, ცოტა კი არა აქვს: ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები „კავკასიის დაცვისათვის“, „სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის“, „სტალინგრადის გათავისუფლებისათვის“, გამაჩრეების მედლები, უმაღლესი მთავარსარდლის რამდენიმე მადლობა, აგრეთვე საიუბილეო მედლები.

პაპა ფსავალაშვილი,
ამბეგა, 1-ლი საშუალო სკოლა, II კლასი.

შიქტორინა - კონკურსი



ნები იბრძოდნენ არა მარტო წინა ხაზზე, არამედ ზურგშიაც. მთელი ქვეყანა ერთიან ფრონტს წარმოადგენდა.

სამკოთა მწერლებმა, კომპოზიტორებმა, რეჟისორებმა შექმნეს ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები, რომლებშიც აისახა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა, მისი დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. ასეთებია, მაგალითად, მ. შოლოხოვის „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ და „ადამიანის ბედი“, კ. სიმონოვის „დღეები და ღამეები“, რ. ჯაფარიძის „ჩარისკაცის ქვრივი“, ა. ტვარდოვსკის „ვასილი ტიორკინი“, ლ. ქიაჩელის „მოისკაცი“, ო. იოსელიანის „შავი და თეთრი მდინარე“, კინოფილმები — „მიფრინავენ წეროები“, „განთავისუფლება“, „ჩარისკაცის მამა“ და მრავალი სხვა.

8. ომის პირველი დღეებიდანვე მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაჩაღდა პარტიზანული

ომი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მტრის ზურგში მოქმედებდა 6 200-ზე მეტი პარტიზანული რაზმი და იატაკქვეშა ჯგუფი, რომლებიც თავიანთ რიგებში ერთ მილიონზე მეტ მებრძოლს აერთიანებდნენ. მათ მოქმედებას უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შექმნილი პარტიზანული მოძრაობის შტაბი ხელმძღვანელობდა.

პარტიზანული მოძრაობის ერთერთ ყველაზე ნათელ გამოხატულებად

ბას „რეღების ომი“ წარმოადგენს. იგი მიმდინარეობდა 1948 წლის 3 აგვისტოდან 15 სექტემბრის ჩათვლით და მიზნად ისახავდა მტრის სარკინიგზო ტრანსპორტის დეზორგანიზებას რეღების ერთდროული და მასობრივი დანგრევის საშუალებით. ეს ხელს შეუწყობდა სურსების რკალზე საბჭოთა ქარების წარმატებას და შეტევის შემდგომ ვანოთარებას.

„რეღების ომის“ განმავლობაში პარტიზანებმა ააფეთქეს დაახლოებით 215 ათასი რეღი, სხვაინარად რომ ვთქვათ, მათ შთელი თვის მწყობრიდან გამოიყვანეს 1342 კილომეტრი სიგრძის სარკინიგზო ხაზი და ამით მთლიანად გააპარტოლეს ის იმედი, რომელსაც მათზე უმაღლესი მთავარსარდლობა ამყარებდა.

4. დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი არმიის მთავარ სატანკო ძალას წარმოადგენდა ტ-34 ტანკი. იგი 1939 წელს შეიქმნა მ. კოშკინის საკონსტრუქტორ ბიუროში. აი, მისი ტექნიკურ-ტექნიკური მახასიათებლები: საბრძოლო წონა — 28,5 ტ; ეკიპაჟი — 4 კაცი; შეიარაღება — ერთი 76,2 მილიმეტრიანი ქვემეხი და ორი ტუფამფრქვევი; საბრძოლო კომპლექტი — 100 ჭურვი და 1953 ვაზა; ქავშინი: კორპუსის შუბლი — 45 მმ, გვერდები — 45 მმ, კოშკურა — 52 მმ; ძრავის სიმძლავრე — 500 ცხენისძალა; მაქსიმალური სიჩქარე — 55 კმ/სთ.

თავთ გერმანელებიც კი იძულებული იყვნენ ეღიარებინათ საბჭოთა „ოცდობითმეტრიანის“ კოლოსალური უპირატესობა მათი „ვეფხვების“ თუ „ფერდინანდების“ წინაშე. ამ უტუპარმა ფაქტმა ათქმევინა გენერალ-ფელდმარშალ კლიბისტი: „მათი ტ-34 მსოფლიოში საუეთესო იყო“.

5. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 8 ნოემბრის ბრძანებულებით დაწესდა სამი ხარისხის „დიდების“ ორდენი. ამ ორდენით ჩილოვებდოდენენ ქარისკაცები, სერჟანტები და ზემდეგები, ხო-

ლო ავიაციოში უმცროსი ლეიტენანტები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამშობლოსათვის ბრძოლაში. ორდენი ენიჭებოდა თანამიმდევრობით — ჯერ მესამე, მერ — მეორე, ხოლოს კი — პირველი (უმაღლესი) ხარისხისა. „დიდების“ ორდენის სრულ კავალრებს მიენიჭებოდა აქვთ რიგი შედავაითა და უპირატესობანი.

მესამე ხარისხის „დიდების“ ორდენი პირველმა მიიღო მესანგრე გისრაეღიანი.

პირველი სრული კავალრები იყვნენ ეფრეიტარი მ. პიტენინი და უფროსი სერჟანტი კ. შეჩენკო.

„დიდების“ ორდენის ერთ-ერთი პირველი ქართული კავალრები გახდნენ სერჟანტები მურმან ჯაფარიძე და დავით მტირალაშვილი.

6. „დიდი გარდატეხის წელი“ 1948 წელი ითვლება, ხოლო ბრძოლა, რომელმაც გრანდიოზული გაღღენა მოახდინა მეოლი სამამულო ომის მსვლელობაზე, სტალინგრადის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. იგი 1942 წლის 17 ივლისიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე გრძელდებოდა. მისი მიზანი იყო სტალინგრადის დაღვდა ვოლგაზე თავმყოფი ფაშისტური ქარების განადგურება.

ეს იყო ერთ-ერთი უმსხვილესი და თავისი შედეგებით შეუღარებელი ბრძოლა მთელი მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში. მტერმა მოკლულმა სახით დაქარაგა სხიათსობით ქარისკაცი და ოფიცერი, ხოლო მთელი არმია ფელდმარშალ ფონ პაუ-ელისის მეთაურობით (300 ათასი კაცი) ტუქვდ ჩავარდა.

სტალინგრადის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ გადაწყვეტი წელითა შეიტანა ფაშისტის განადგურების მომზადებაში. ეს იყო ძირ-ფესვიანი გარდატეხის მომენტები მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაშიც. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, უკვე მკაფიოდ გამოიკეთა საბჭოთა არ-

მიის უპირატესობა მხედითზე, წყალსა და ჰაერში. გარდა ამისა, სტალინგრადის გამარჯვებამ აღაფრთოვანა, განთავისუფლების რწმენა შეაღება და ხელში იარაღი ააღენინა დასავლეთ ევროპის ხალხებს, რომლებიც ფაშისტური უღლის ქვეშ გმინავდნენ.

გმირი ქალაქი სტალინგრადი 1965 წელს ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მეღლით დაჯიღლდა.

7. გამარჯვების დაჩქარებაში დიდი წვლილი უღვეთ საბჭოთა მშეერავებს. ერთ-ერთი მათგანი ნიკოლოზ ივანეს ძე კუშნეცოვი.

5. კუშნეცოვი 1911 წელს დაიბადა სვერდლოვსკის ოლქში. მას ღვეშობიდანვე იტაცებდა ენები და სრულყოფილად დაეუფლა გერმანულს, პოლონურსა და უკრაინულს. ომის დროს 5. კუშნეცოვი სავანებო დავალებით გაგზავნეს ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში, საიდანაც გერმანული ოფიცრის, ობერლეიტენანტ პაულ ზობერტის სახელით შეადგინა ქალაქ როვნოში და დაუახლოვდა ღდაბანაკებულ ფაშისტურ ოფიცრობას. ეს იყო უშიშარი, გონებაშახვილი, წინდახედული და, ამავე დროს, რისკიანი პიროვნება, რომელმაც უამრავი გაბედული დივერსია განახორციელა და პანიკამდე მიიყვანა გერმანელები. მან საკუთარი ხელით დახვრიტა რამდენიმე ფაშისტი გენერალი, მათ შორის უკრაინის რაიხსლაიტერი ფუნცი, უკრაინის რაიხსკომისარიატის სამმეტიო მრჩეველი გლარი და მისი მდივანი ვალტერი, გალიციის ვიცე-გუბერნატორი ბაუერი და სხვები. მისი ზელმძღვენელობით პარტიზანებმა გაიტაცეს უკრაინის დამსკვიერი ქარების სარდალი გენერალი ფონ ილგენი და ჩაატარეს ბეერი დივერსიული აქტი.

5. კუშნეცოვი დაიღუპა ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას. მას სიკვდილის შემდეგ სა-

ბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

5. კუნენცოვის ლეგენდარული ვაკაცობის რამდენიმე ეპიზოდი ასახულია ფილმში „შვედრავის გმირობა“.

8. მე-18 არმია, რომელმაც კავკასიის დაცვაში დიდი როლი შეასრულა, ხარკოვის სამხედრო ოლქისა და კიევის საგანგებო სამხედრო ოლქის ბაზაზე შეიქმნა.

ქერჩ-ელტიგენის სადესანტო ოპერაციის მსვლელობაში მე-18 არმიის ნაწილებმა გადალახეს ქერჩის სრუტი და 1943 წლის 1 ნოემბერს ელტიგენის რაიონში გამაგრდნენ. ამ პლაცდარმს „ცეცხლოვანი მიწა“ შეერქვა. ორმოცი დღის განმავლობაში მედესანტეები მამაცურად იცავდნენ „ცეცხლოვან მიწას“. ამ ბრძოლების 44 მონაწილეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

1943-1944 წლებში მე-18 არმიამ (ახლა იგი 1-ლი უკრაინული ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა) მონაწილეობა მიიღო ცნობილ ვიტომირ-ბერგლინგის ოპერაციაში, რომლის მსვლელობაშიც საბჭოთა ჯარებმა 60-200 კილომეტრით წაიწიეს წინ და მთლიანად გაათავისუფლეს კიევისა და უიტომირის ოლქები. ამ დროს მე-18 არმიას ჩვენი თანამეამული, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე მეთაურობდა.

ნამეამული, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე მეთაურობდა.

9. სურათზე აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჯაბიძე. იგი დაიბადა 1917 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში. ფრენა თბილისის აეროკლუბში ისწავლა, შემდეგ კი დაამთავრა საავიაციო სასწავლებელი. 22 წლის სამხედრო მფრინავმა პირველი ნათლობა თეთრფინელებთან ბრძოლაში მიიღო. დიდ სამამულო ომში პირველი დღიდანვე მონაწილეობდა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი წითელი დროშის ორდენით, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I და II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 1946 წლის 15 მაისს მიენიჭა.

დ. ჯაბიძის პირად ანგარიშზეა 400 საბრძოლო გაფრენა და 27 ჩამოვარდებული ფაშისტური თვითმფრინავი. ამავე დროს, იგი ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მფრინავია, რომელმაც გამოიყენა საჰაერო ტრანი (ბრძოლის დროს მტრის თვითმფრინავის მწვეობრიდან გამოყვანა უშუალო შეჯახების გზით).

2. ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ ლეგენდარულ პიროვნებას, სამამულო ომისა და კოსმოსის გმირს. ვინ არის იგი? გვიამბეთ მისი ფონტელუ გმირობის შესახებ.

3. ეს ორდენი საბჭოთა მთავრობამ სამამულო ომის წლებში დააწესა. რა ჰქვია მას, როდის დაწესდა და ვინ დაჯილდოვდა ამ ორდენით? 4. საბჭოთა კონსტრუქტორებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტექნიკის გაუმჯობესება-სრულყოფაში. მნიშვნელოვანწილად მათი დამსახურებაა ის, რომ ჩვენმა



მესამე ტურის კითხვები

1. დიდი სამამულო ომის დასრულდა გრანდიოზული ბრძოლით, რასაც

ფაშისტური ბუნავის სრული განადგურება მოჰყვა. როგორ მზადდებოდა და მიმდინარეობდა ეს ბრძოლა? რომელი ფრონტის ჯარები მონაწილეობდნენ მასში?



ბაქ. სსრ კ. მარკუსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ავიციამ ომის დროს სრული ბატონობა მოიპოვა ჰერში. სურათზე აღბეჭდილია თვითმფრინავი, რომელსაც იმ დროს ცაში ტოლი არ ჰყავდა. რა ჰქვია და რა დანიშნულებია ეს თვითმფრინავი? ვინ იყო მისი კონსტრუქტორი?

5. ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო საკმე იყო. რა იცით „ყვივისფერი ჭირის“ მოსპობისათვის ბრძოლაში მსოფლიოს ხალხთა მონაწილეობის შესახებ?

6. ფოტოსურათზე აღბეჭდილია საბჭოთა ჯარისკაცი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, წერტილი დაუსვა დიდ სამამულო ომს. ვინ არის იგი? გვიამბეთ მის მიერ ჩადენილ გმირობაზე.

7. მადლიერმა კაცობრიობამ ასობით, ათასობით ძეგლი დაუდგა საბჭოთა მეთრებებს, რომელთაც ხალხები ფაშისმისაგან იხსენი. სურათზე ერთ-ერთი მათგანია აღბეჭდილი. სად დგას ეს ძეგლი და რა ეპიზოდს ასახავს იგი? ვინ არის მისი ავტორი?

8. მძიმე განსაცდელის ეპოს საბჭოთა ხალხმა სამშობლოს ბევრი გამოჩენილი მხედართმთავარი მისცა. ერთ-ერთ მათგანს თქვენ ამ სურათზე ხედავთ. ვინ არის იგი? რა წვლილი შეიტანა ჩვენს დიად გამარჯვებაში? რომელი ჭილღობით აღინიშნა მისი საბრძოლო დამსახურება?

9. დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებას უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. გვიამბეთ დიდი სამამულო ომის, მეორე მსოფლიო ომის ძირითად შედეგებზე.

10. მოგვეჩვენეთ, რა კეთდება თქვენს ქალაქში, სოფელში, სკოლაში, პიონერულ ორგანიზაციაში იმ მიზნით, რომ აღარ განმეორდეს ომის საშინელებანი, რომ ჩვენს სამშობლოს მუდამ დანაშაულებს თავს უღრუბლო და მზის სხივებით ვაჩაჩახებულები ცა.



ჩოცა

ველითხუცდს

ქაინოს

უკან

ქალკან

მანანა ბელაშვილი
მატყარი ზაურ ლიხაძე
მ ო თ ხ რ ა ა

მანინდამანინც ის უცხვირპირო და ბაიყუში აგრაფინა ცხოვრობდა ეზოს თავში. ვინმე რომ შემოსულყო და მისი კარის მეზობელუე ეკითხა, ამა და ამ გვარის კაცი სადა ცხოვრობო, ეტყოდა, არ ვიცო. თუ მოხდებოდა და ვინმე მეზობელთაგანს ორი კბილი ნიორი ან ერთი ძირი ექნაღი შემოაკლდებოდა და სათხოველად მიადგებოდა, მოკვდებოდა და ხელს არ გაუმართავდა. თაბახი რომ ქინძით თავმოზემული სდგომოდა და მთელი ვალა ნიორი ცხვირწინ ჰქონოდა ჩამოკიეული, ხელებს ვასავსავებდა — უი, არა მაქვს, აგერ ახლა ვუყავი ლობიოსო. მათხოვრისთვის ნატეს პურსაც არ გაიმეტებდა, შაური რა არის, იმასაც არ ვაიბლებდა ეზოს შემოკვეულ ბრმა მევილინისთვის. შვილიც ვგეთი უხვირო ჰყავდა, არ ამარცხ და ქვაწვია: მთელს ეზოში მარტო იმას ჰქონდა ორთვლიანადი ველოსიპედი, თანაც წითელი — ომი ახალი დამთავრებული იყო და ველოსიპედის საყიდლად მანინ-

დამანინც არავის უღიხინდა. ჩედ არავის დასვამდა. სხვა ბიჭები თანის ხელით გამოჩინილ-გამართულ, ბურთულასაკისრებზე შემდღარ „ტაჭკებსა“ და „სამოკატებს“ დაახრიკინებდნენ, ის კი იმხელა ეზოს ისე შემოვიღიდა ველოსიპედით, რომ სიქას გაძირობდა და არავის კი ათხოვებდა. იცოცხლე, ერთი-ორჯერ მივეყეს ბიჭებმა, მაგრამ იმან თავისი არ მოიშალა. ოღონდ ახლა მხოლოდ თავისი სახლის სახლოვს დაატარებდა ველოსიპედს, ისიც მამინ, როცა შუშაბანდში გადმოყუდებული დედა ან მამა ნეტარი ღირილით ადვენებდნენ თვალს. დაღამობით

